გილოცავთ დამდეგ შობა - ახალ წელს!

გილოცავთ დამდეგ შობა - ახალ წელს! მჯერა, რომ ახალი 2022 წელი, ჩვენი ქვეყნისთვის და საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის იქნება სიახლეების, კეთილდღეობის და წარმატების მომტანი. გისურვებთ მშვიდობას და ჯანმრთელობას!

გიორგი ურუშაძე,

სახელმწიფო რწმუნებული ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში

დამდეგ შობა -ახალ წელს გილოცავთ! გისურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობას, კეთილდღეობას. სიხარული დაგბედებოდეთ! განსაკუთრებული სიყვარულით გილოცავთ ოზურგეთლებს, ახალი წელი ჩვენი მუნიციპალიტეტის წარმატების და წინსვლის წელი ყოფილიყოს.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გურიას, გურულებს, მთელ საქართველოს გილოცავთ ახალი 2022 წლის შემობრძანებას. გქონოდეთ ჯანმრთელობა სიხარული ეკონომიური სიძლიერე. ერთმანეთისადმი სითბო და სიყვარული არ მოგშლოდეთ.

ზაურ ოსეფაიშვილი,

„საქართველო შალომ კლუბ - გურიას“ პრეზიდენტი.

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 42 (10412) 27 დეკემბერი, 2021 წ. ფასი 60 თეთრი.

მაღაზია „ნეკტუნი“

ჩვენი ყველა მომხმარებლის გულწრფელად გამოხატული კმაყოფილება ჩვენი საქმიანობის მიწონების ტოლფასია! მადლობა ყველას, გილოცავთ დამდეგ შობასა და ახალ წელს! **ძმები ჭანუყვაძეების მარკეტი**

მისამართი. ქ. ოზურგეთი, ჯავჯავაძის ქ. №15

პირველი თოვლი და წინასახალწლო პრობლემები

ალიონი. დეკემბრის თოვლმა მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნა გურიის რეგიონის სოფლებს. დაზიანდა 35 კილოვატიანი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზები, დაბალი ძაბვის ბოძები და სადენები, რომელმაც არაერთი სოფეფელი უშუქოდ დატოვა. უხვი ნალექის გამო შექმნილი სირთულეების მოგვარების მიზნით, სამივე მუნიციპალიტეტის მერია და ყველა შესაბამისი უწყება მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდა. თოვლის საფარისგან გზის გაწმენდითი სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობდა.

▶▶▶ გვ-2

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani15@gmail.com
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ვიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი
რეგისტრირებულია
ოზურგეთის რაიონულ
სასამართლოში 18. 11. 2004
№44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

პირველი თოვლი და წინასახალწლო პრობლემები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ***გიორგი ღურჯუმელიძის*** *თქმით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში ენერგეტიკოსთა 7-8 ჯგუფი მუშაობდა პრობლემების მოსაგვარებლად.*

–სოფელ მთისპირში უხვი თოვლი მოვიდა. თოვლის საფარი სოფლის ცენტრში 70 სანტიმეტრი სიმაღლისაა, ვანისქედში –80 სანტიმეტრი, ხოლო დაბლა ვანისქედში (წიტაიშვილის უბანი) თოვლის საფარმა 1 მეტრამდე მიაღწია. მოსახლეობის საკარმიდამოებში გადაუბელავმა აკაციის და მურყანის ხეებმა დააზიანა ელექტროგადამცემი ხაზები და სოფელს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა. მუდმივ კონტაქტში ვართ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან. გაიწმინდა ძირითადი გზები, ვანისქედში, უკანავაში, ოქროსქედში. გუშინ სენაკელების ბრიOგადა მუშაობდა სოფელში და სოფლის ცენტრამდე მოსახლეობას ელექტროენერგიის მიწოდება აღუდგა. თუმცა დაბლა ვანისქედში ამ მომენტისთვის გზა არაა გაწმენდილი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი ავთანდილ თალაკვაზე დაუკავშირდა კომპანია „ასკანგელ ალიანსის“ ხელმძღვანელს ირაკლი ვეშაპიძეს და ტექნიკით დახმარება ოზურგეთის მერმა **ავთანდილ თალაკვაძემ.**

მოგვიანებით გაზეთ „ალიონთან“ კომენტარი კომენტარი „ენერგო პრო ჯორჯიას“პიარის სამსახურის წარმომადგენელმა **ბექა რომანაძემ** *გააკეთა.*

– „ამ დროისთვის გურიაში, სამივე მუნიციპალიტეტში აბონენტების უმეტესობას ელ.ენერგია მიეწოდება. მოსულმა თოვლმა, დაზიანა კომპანიის ინფრასტრუქტურა, დაზიანდა მაღალი ძაბვის სადენები, ასევე დაბალი ძაბვის ბოძები და სადენები. ბოლო სამი დღეა კომპანიის ტექნიკური სამსახური ინტენსიურ რეჟიმში მუშაობს.

ამ ეტაპზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ელ.ენერგია არ მიეწოდება აცანასა და მამათის ნაწილს, ასევე ავარიულად გაითიშა სოფელი ორაგვე.

რაც შეეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტს, აქ შეზღუდვებია შემოქმედის, ლაითურისა და გურიათას ადმინისტრაციულ ერთეულებში, ამ ეტაპზე მთისპირის ნაწილი აღდგენილია და უმოკლეს დროში დარჩენილ ნაწილსაც აღუდგება ელ.ენერგია.

ჩოხატაურში ბახმაროს, ნაბეღლავის,ზოტის,სურებისა და კოხნარის ადმინისტრაციულ ერთეულებში ფიქსირდება ელექტრომომარაგების შეზღუდვა. აღვნიშნავ, რომ ყველა მიმართულებით ინტენსიურად მუშაობს კომპანიის ტექნიკური სამსახური, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ყველა აბონენტს მივაწოდოთ ელექტროენერგია.“– აღნიშნა რომანაძემ.

ოზურგეთში საახალწლო ღონისძიებები გაიმართება

პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, 24 დეკემბრიდან 8 იანვრის ჩათვლით, საქართველოს ყველა რეგიონში საახალწლო ღონისძიებები გაიმართება. 63-ვე მუნიციპალიტეტში მოეწყობა საშობაო ბაზრობები, გამოფენა-გაყიდვები, საბავშვო გასართობი სივრცეები. ტერიტორიაზე განთავსდება ხის საახალწლო სახლები, ფოტოგადასაღები სტენდები და ინსტალაციები.

25 დეკემბერს, ოზურგეთში, საახალწლო ღონისძიებები 16:00 საათიდან დაიწყება.

ჩატარდება კონცერტი როგორც ადგილობრივი, ასევე, დედაქალაქიდან მოწვეული შემსრულებლების: ბენდი „ლურჯი იალქანი,“ სალომე ბაკურაძე და ნოდიკო ტატიშვილის მონაწილეობით. თეატრალურ მოედანზე ქალაქის მთავარი ნაძვის ხე საზეიმოდ აინთება.

ღონისძიება დასრულდება საზეიმო ფოიერვერკით.

ღონისძიებებზე დაცული იქნება კოვიდუსაფრთხოების წესები.

1-დან 10 იანვრამდე საჯარო უწყებებში უქმე დღეები გამოცხადდა

1-დან 10 იანვრამდე საჯარო უწყებებში უქმე დღეები გამოცხადდა, – აღნიშნული გადაწყვეტილება უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ მობილობის შემცირების მიზნით მიიღო. ანალოგიური რეკომე-ნდაციით მიმართავს საბჭო კერძო დაწესებულებებსაც.

სხდომაზე, რომელიც პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილის** ხელმძღვანელობით, დღეს მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა, აღინ-იშნა, რომ 29 დეკემბრიდან 17 იანვრამდე არდადეგები გამოცხადებულია სკოლებში.

ამასთან, საბჭომ იმსჯელა საქართველოში არსებულ ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობაზე. როგო-რც ცნობილია, 20 დეკემბერს ქვეყანაში დაფიქსირდა კორონავირუსის ახალი შტამი – „ომიკრონი“, რასთან დაკავშირებითაც საბჭოს წევრებს დეტალური ინფორმაცია დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა **ამირან გამყრელიძემ** მიაწოდა. „ომიკრონის“ გავრცელებით გამოწ-ვეული ახალი გარემოებების გათვალისწინებით, საკოორდინაციო საბჭომ ამ ეტაპზე მიზანშეწონილად არ მიიჩნია დამატებითი

შემსუბუქების ღონისძიებებზე გადაწყვეტილებების მიღება, მათ შორის ღამის კლუბების გახსნა.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო მოქალაქეებს მიმართავს, ატარონ პირბადე, დაიცვან სოციალური დისტანცია და აქტიურად ჩაერთონ ვაქცინაციის პროცესში, რათა ქვეყანაში მკაცრი შემზღუდავი ღონისძიებების დაწესების აუცილებლობა არ დადგეს.

პრემიერ-მინისტრის დავალებით, ქვეყანაში მოქმედი რეგულაციების აღსრულება შესაბამისი უწყებების მხრიდან მკაცრად გაკონტროლდება.

რამ განაპირობა თხილის ფასის მინიმუმამდე დაცემა



მაღალი ფასით დაწყებული სეზონის შემდეგ, მსოფლიო ბაზარზე თხილის ფასი დაეცა. „თხილის მწარმოებელთა ასოციაციის“ ინფორმაციით, ღირებულება ბაზარზე 5.5 ამერიკული დოლარია.

„ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას, „ჯორჯიან პროდაქტს რენესანსის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ლევან ბოლქვაძემ განაცხადა, რომ მიზეზი თურქეთის მიერ მიღებული ჭარბი მოსავალი და ასევე, თურქული ლირის გაუფასურებაა.

„წელს, როგორც ჩვენთან, ასევე თურქეთშიც თხილის მოსავლის აღება საკმაოდ დაგვიანდა, ამიტომაც ვაჭრობა საკმაოდ მაღალი ფასით დაიწყო. ამან განაპირობა ფერმერებში განწყობა, რომ ეს ტენდენცია შენარჩუნდებოდა. თუმცა ჭარბმა მოსავალმა ფასის კლება განაპირობა. თურქეთის (ყველაზე მსხვილი მწარმოებლის) მოსავალი ოქტომბერში შემოვიდა ბაზარზე და იმდენად გაჯერდა, რომ ფასმა ბუნებრივად იკლო. ამასთან, თურქული ლირის 70%-იანმა გაუფასურებამაც გამოწვია საერთაშორისო ბაზარზე ფასის ვარდნა.

რაც შეეხება ბოლო პერიოდს, დეკემბერ-იანვარი ისედაც კრიზისული პერიოდია თხილის რეალიზაციისთვის, რადგან ყველას უკვე შესყიდული აქვს მარაგები, რომლებიც სჭირდებათ. ბევრი წარმოება იმდენად კარგ ფასებში დაკონტრაქტდა, რომ მომავალ სეზონამდე უზრუნველყოფილია მარაგებით. ამ მომენტისთვის, ფასი მინიმუმზეა და რთულია პროგნოზირება როგორი იქნება ტენდენცია. თურქეთს, სრული მოსავლიდან 600 000 ტონა დარჩა 900 500 ტონიდან, რაც მთლიანი მოთხოვნის 60%-ია. არის ბაზარზე სხვა ქვეყნებიც: საქართველო, აზერბაიჯანი, იტალია, რომლებსაც დარჩათ თხილი გასაყიდი. ასე რომ, მაღალი ფასის მოლოდინი არ გვაქვს, მაგრამ თურქეთში კურსი თუ უფრო არ გაუფასურდა, ამაზე მეტად ფასმა აღარ უნდა დაიკლოს“, - განაცხადა ლევან ბოლქვაძემ.

მისივე თქმით, კომპანიამ 4 თვეში უკვე განახორციელა 900 ტონა თხილის ექსპორტი.

„ჯერ სეზონი არ დამთავრებულა, მეოთხე თვეა, რაც გადამუშავება-რეალიზაციას ვახდენთ. ჩვენ ორი კომპანიით ვართ წარმოდგენილი ბაზარზე. ერთი კომპანიიდან 100 ტონა გვაქვს გატანილი ექსპორტზე, მეორე კომპანიიდან კი 800 ტონამდე ექსპორტი გვაქვს განხორციელებული“, - განაცხადა ლევან ბოლქვაძემ „ბიზნესპრესნიუსთან“.

ინფორმაციისთვის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემით, მიმდინარე წლის 1-ლი აგვისტოდან 28 ნოემბრის ჩათვლით საქართველოდან 14.6 ათასი ტონა თხილის ექსპორტი განხორციელდა, რომლის ღირებულებამ §66.8 მლნ შეადგინა.

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ
ᲛᲝᲖᲕᲔᲠᲘ (ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲬᲝᲜᲐ 100+ᲙᲒ) ᲙᲐᲠᲒ ᲤᲐᲡᲨᲘ
ᲓᲐᲒᲕᲘᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲘᲗ: 551 57 60 60

„მაშავ“- ის და „საქართველო შალომ კლუბი- გურიას“ წარმატებული პროექტი საქართველოში

უკვე მეორე წლია ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საერთაშორისო განვითარების სააგენტო **MASHAV**-ის დაფინანსებით, ისრაელის საელჩოს და **MASHAV GEORGIA** და ადგილობრივი ხელ-ისუფლების ხელშეწყობით ,გურიის,სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართის სამეგრელოს ქვემო ქართლის რე-გიონებში მიმდინარეობს პროექტი „სუფთა წყალი ბავშვებს“.პროექტს ანხორციელებს არასამთავრობო ორგანიზაცია, **GEOPGIASHALOM CLUB-GURI** , .პროექტის ფარ-გლებში სკოლებში სადაც სასმელი წყალი სრულად არ შეესაბამება სტანდარტებს მონტაჟდება ისრ-აელის კომპანია **NUF FILTRATION** სასმელი წყლის გასაფილტრი დანადგარები. დანადგარები აღჭურვილი მემბრანული ფილ-ტრებით და აღიარებულია როგორც საუკეთესო ისრაელი ჯანდაცვის სამინისტროს მიერ.

სამშაბათს სასმელი წყლის დანადგარები დამონტაჟდა და გადაეცა გორის მუნიციპალიტეტის №1 და მე-9 საჯარო სკო-ლას.ღონისძიებაზე დასასწრებად ქალაქ გორში ჩამბრძანდა ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბატონი რან გიდორი, „მაშავ საქართველოს“ დირექტორი ბატონი გიორგი ჟღენტი.ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ „საქართველო შალ-ომ კლუბ-გურია“-ს პრეზიდენტი ბატონი ზაურ ოსეფაშვილი და ვიცე პრეზიდენტი ქალბატონი ნათია შათირიშვილი.

ღონისძიება ორგანიზებული იყო სამხარეო ადმინისტრაციის.გორის მერიისა და „შიდა ქართლის შალომ კლუბის მიერ“ დირექტორი ქალბატონი თაკო ყანჩაველი,რომელმაც მადლობა გადაუხადა სტუმრებს ჩამობრძანებისათვის და ასეთი მე-ტად საშურ საქმეში თანადგომაზე.

სტუმრები თავდაპირველად ეწვ-ივნენ გორის №1 და №9 საჯარო სკოლას. სადაც მოსწავლეებმა სტუმრებს მადლიერების ნიშნად მეტად ამაღელვებელი შეხვედრა მოუწყვეს.სკოლის დირექტორებმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადეს ისრაელის ელჩს ბატონ რან გიდორს და „მაშავ საქართველოს“ დირექტორს ბატონ გიორგი ჟღენტს, „საქართველო შალომ კლუბ გურიას“ ხელმძღ-ვანელებს. ბავშვებმა შეასრულეს ერაული და ქართული სიმღერები.

სტუმრები მიიღო და მხარისა და მუნიციპალიტეტში არსებული გამოწვევების შესახებ ისაუბრეს შიდა ქართლლის გუბერნატორმავალერიან მჭედლიძემ და გორის მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა ვლადიმერ(ლადო) ხინჩიგაშვილმა. მათ მადლობა გადაუხაუხადეს სტუმრებს რეგიონში ასეთი სა-ტერესო პროექტის განხორციე-ლებისთვის, რაც მათი თქმით აუცილებელია პატარებისათვის მითუმეტეს მაშინ,როცა მთელი ქვეყანა პანდემიის წინააღმდეგ ღონისძიებებს ანხორიელებს.

ისრაელის ელჩმა ბატონმა რან გიდორმა ისაუბრა ისრაელის საერთაშორისო განვითარების სააგენტო „მაშავის“ წვლილზე ქართველ სპეციალისტთა მომზადების საქმეში და სოფლის მეურნეობის,ჯანდაცვის, ახალი ინოვაციური ტექნო-ლოგიების დანერგვის კუთხით.

შეხვედრაზე, „საქართველომ შალომ კლუბ გურია“-ს პრეზიდენტმა, ბატონმა ზაურ ოსეფაშვილმა დამსწრეთ გააცნო ისრაელის ინოვაციური სასმელი წყლის გასაფილტრი დანადგარების მუშაობის პრინციპები.საუბარი შეე-ხო უფრო მღალი წარმადობის ფილტრებს,რომლებსაც შეუძლია დღე-ღამეში გაფილტრონ 500 ტონაზე მეტი წყალი,რაც, როგორც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა აღნიშნეს მეტად მნიშვნელოვანია სოფლებისათვის.

როგორც „მაშავ“ საქართველოს დირექტორმა ბატონმა გიორგი ჟღენტმა აღნიშნა „მაშავი“ კვლავ გაგრძელებს ინოვაციური ტექნოლ-ოგიების დანერგვას საქართველოში.

„ჩვენ ყოველწლიურად ვაქ-ეფნებთ ინფორმაციას ისრაელის თანამედროვე ტექნოლოლოგიებზე. დღევანდელი პროექტის იდეაც აქედან წამოვიდა და „საქართველო შალომ კლუბ- გურიამ“ გაეროს ბავშვთა ფონდის „**UNICEF**“ კვლევებზე დაყრდნობით შეიმუშავა ესპროექტი და მას ანხორციელებენ საქართველოში, პარტნიორებია არამარტო ისრაელის საელჩო, არამედ სლოვა-კეთის, ავსტრიის, იაპონიის საელჩოები კლუბი დარეგისტრებულია გაეროს პლატფორმაზე და გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით მიმდინარეწელს 4 დანად-გარი დაიდგა გურიის სკოლებში. მომავალ წელს კი „საქართველო შალომ კლუბი-გურია“ გურიის 38 საბავშვო ბაღში, იაპონიის საელჩოს დახმარებით დაამონტაჟებს სასმელი წყლის გასაფილტრ დანადგარებს. ასევე გააგრძელებს ამ კუთხით სხვა დონორებთან მუშაობას. დასძინა ბატონმა გიორგი ჟღენტმა.

როგორც „საქართველო შალომ კლუბ გურია-ს“ ვიცეპრეზიდე-ნტმა, შ აკადემიის დამფუძნებელმა და დირექტორმა ქალბატონმა ნათია შათირიშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა,კლუბი ამჟამად ემზადება თბილისის ოფისის პრეზენტ-აცი-ისათვის, ასევე ჩაატარებს 18 წლიანი საქმიანობის ანგარიშს ებრაულ სახლში.სულმალე ასევე ჩავატარებთ კონკურს „ისრაელი“ ქართველი მოსწავლეების მონაწი-ლეობით.გამარჯვებულები დაჯილდოდებიან ფასიანი საჩუქრებით,მიწვეული იქნებიან ისრაელის სა-ელჩოში და თბილისის მთავარ სინაგოგაში.

„შალომ კლუბის“ რეკომენდაციის გათვალისწინებით შ აკადემიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით რამდენიმე ბავშვი სოციალურად დაუცველი ოჯახიდან სარგებლობს აკადემიის სასწავლო გრანტით.დასძინა საუბრის დასასრულს ქალბატონმა ნათიამ.

ქეთი ჟღენტი

რეპლიკა

„არომატულ ხილ-ბოსტნეულში თუ შეიძლება ცხოვრება, ნეხვში რატომ ვართ?!“

დადის ხმები, რომ „ოცნება“ აპირებს ხელისუფლებაში დარჩენას 2030 წლამდე. კარგი იქნება თუ ცუდი, მოხდება თუ არ მოხდება ეს, – დრო გვიჩვენებს. ლოგიკით თუ გნებავთ, ორ ვადაზე მეტი (8-10 წელი) ხელისუფლებაში ყოფნა საინტერესოც არ უნდა იყოს თუ რაიმე პირადი ინტერესები არ არსებობს.

მახსენდება ირანის ყოფილი პრეზიდენტის რაბინის ინტერვიუ „ალჯაზირას“ ჟურნალისტთან, თუ რა მოუთმენლობით ელოდება პრეზიდენტობის ვადის დამთავრებას, რომ ამ ჯოჯოხეთიდან გასული დაუბრუნდება უნივერსიტეტს ლექციებით, რომელიც აუწერელად უფრო მეტი საინტერესო იქნება, ვიდრე ის იყო პრეზიდენტობამდე (ადამიანურად მართლაც რომ გულის ამაყუჩებელია). ასევე შეურაცხყოფილად იგრძნო თავი აშშ-ის დამაარსებელმა და პირველმა პრეზიდენტმა ჯორჯ ვაშინგტონმა შეთავაზებაზე, დარჩენილიყო ქვეყნის პრეზიდენტად სიცოცხლის ბოლომდე.

ეს პრეზიდენტები, ახლა რაც შეეხება მინისტრებს და სხვა მაღალჩინოსნებს:

გასული საუკუნის სამოციან წლებში ლონდონი-გლაზგოს მატარებელზე ჩამოხსნილ იქნა საფოსტო ვაგონი ასიათასობით ფუნტი სტერლინგით. ამ შემთხვევამ ისეთ შოკში ჩააგდო ქვეყანა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა მესამე დღეს გადასცა განცხადება პრემიერ-მინისტრს, რომ გაეთავისუფლებინა დაკავებული პოსტიდან. მაგრამ კურიოზი იმაში მდგომარეობდა, რომ მან წინა ორი დღე მოანდომა საქმის გახსნას და მძარცველების დაპატიმრებას. პრემიერ მინისტრის თხოვნამ კი, არ გადამდგარიყო, შედეგი არ გამოიღო იმ მოტივით, რომ ქვეყანაში, სადაც მინისტრი თავის ადგილზეა, იქ მსგავსი სამარცხვინო დანაშაული არ ხდებაო.

როგორც ვხედავთ, ცივილიზებული ქვეყნებიდან უამრავი მაღალი ზნეობის მაგალითის მომსწრენი ვართ, როცა საქართველოდან – არც ერთის. პირიქით: გავიხსენოთ, როცა ვ. მერაბიშვილმა, ზ. ჟვანიას დაღუპვასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ამ საქმის გახსნა ჩემი პრესტიჟის საქმეაო... საქმე ვერ გახსნა, მაგრამ, გადადგომის ნაცვლად, პრემიერის სავარძელში კი გადაჯდა...

ან, როცა საიუველირო დაწესებულებიდან არანაკლები ოქრო-ვერცხლი მოიპარეს (როცა ხალხი შიმშილითა და სიცივით იხოცებოდა), ვერ ვიხსენებ, რომ ვინმე დასჯილიყოს. მაგრამ გაორმაგებული პრემიების აღება „კარგი“ მუშაობისათვის ყოველთვის იყო და რჩება მათთვის პრიორიტეტული. ასე რომ, მსგავსი „ხამსტვა“, ალბათ, არც კი ახსოვს ცივილიზაციას.

მართალი ყოფილა სულცხონებული მონტენსკიე, რომელმაც ჯერ კიდევ XVII საუკუნეში შენიშნა, რომ „ცხელი კლიმატის ადამიანებს ტვინის განძრევას მონობა ურჩევნია“. მაგრამ არც თუ ისე ცხელ კლიმატში რომ არ ვართ?!

იგავი: ახალგამოჩეკილი ნეხვის ჭია ეკითხება „დედას“ – არომატულ ხილ-ბოსტნეულში თუ შეიძლება ცხოვრება, ჩვენ ნეხვში რატომ ვართ?

შენ ჯერ პატარა ხარ და არ გესმის თუ რას ნიშნავს სამშობლო. მიუგო პასუხად.

მათ ვისაც უადგილოდ ან უხეშად მოეჩვენებათ ეს იგავი, შევთავაზებ ეზოპეს კლასიკურ იგავს, როცა თიხის ქოთანი უმტკიცებდა კოვზს, რომ ოქროს ფსკერი მაქვსო.

სჭირდება კი ვინმეს ახსნა, რომ არც ოქროსფსკერიანი ქოთანი და ნეხვის ჭიის პროტესტი ყოფილა, რომ ეს იგავები მხოლოდ ადამიანურ ლოგიკასა და ანალიზს უნდა მსახურებდეს???

P.S. ძალზე საინტერესოა საზოგადოებრივი აზრი ყოველივე ზემოხსენებულის გარშემო.

გრამიტო (გერმანე) მამინაშვილი.

მალფუჭებად პროდუქციას ნუ შეიძენენ ისეთ ადგილას, სადაც არ არის დაცული სანიტარულ-ჰიგიენური პირობები“

რა არის **HACCP-i? HCCP**-ი (საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემა) საერთაშორისოდ აღიარებული სურსათის უვნებლობის მართვის სისტემაა, რომელიც სურსათის წარმოების პროცესში პოტენციური საფრთხეების დადგენას,მათ პრევენციასა და აღმოფხვრას გულისხმობს. ამ სისტემის დანერგვა სურსათის წარმოების თითოეულ ეტაპზე ბიოლოგიური,ქიმიური და ფიზიკური საფრთხეების,მათ შორის ალერგენების იდენტიფიცირებით და მათზე კონტროლის განხორციელებით უვნებელი სურსათის წარმოების შესაძლებლობას იძლევა.

2015 წლის 1 იანვრიდან აღნიშნული რეგულაცია სავალდებულოა ნედლი რძის გადამამუშავებელ საწარმოებისა და სასაკლაოებისთვის. 2018 წლიდან კი სისტემის დანერგვის ვალდებულება დაეკისრათ იმ ბიზნესოპერატორებს, რომლებიც ექსპორტისთვის განკუთვნილ გადამუშავებული თხილის გულს ამზადებენ.

HACCP-ს სისტემის პრინციპების დაცვა 2021 წლის 1 იანვრიდან სავალდებულოა ბიზნესოპერატორებისთვის, რომლებიც ახორციელებენ ცხოველური წარმომობის სურსათის წარმოებას ან/და გადამუშავებას (ხორცი და ხორცის პროდუქტები, რძის ფხვნილზე დამზადებული სურსათი, თევზი და თევზის პროდუქტები, კვერცხი და კვერცხის პროდუქტები, თაფლი).

2021 წლის 1 ივნისიდან ძალაში შევიდა ახალი რეგულაცია,რომლის მიხედვითაც ბიზნესოპერატორებს,რომლებიც საცალო ვაჭრობის პუნქტებში ახორციელებენ სურსათის წარმოება-გადამუშ-ავებას, ეკისრებათ ვალდებულება საქმიანობა განახორციელონ **HCCP**-ის პრინციპების შესაბამისად. კანონმდებლობასთან შესაბამისობის კონტროლს სურსათის ეროვნული სააგენტო ახორციელებს.

საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემის პრინციპები ჯერ კიდევ 1970 წელს აშშ-ში შეიუმავდა და მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი ეფექტურ საშუალებად მიიჩნევა.

საქართველოში **HCCP**,როგორც სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებაში საფრთხეების შიდა კონტროლის მექანიზმი,პირველად შემოღებული იქნა 2005 წელს მიღებული კანონით „სურსათის უვნებლობის შესახებ“.

HCCP -ის დანერგვა გარკვეულ თანხასთან არის დაკავშირებული,მაგრამ ადამიანის ჯანმრთელობა უფრო ძვირი ღირს.

სურსათის უვნებლობის კუთხით ბევრი რამ გაკეთდა სახელმწიფოს მხრიდან,მაგრამ გამოწვევები კიდევ ბევრია. ჯანსაღი ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანია სურსათის უვნებლობა ეს არ არის მხოლოდ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, უკეთესი შედეგის მისაღწევად საჭიროა ერთობლივი ძალისხმევა.

წინა საახალწლო პერიოდია და მინდა მომხმარებელს მოვუწოდო, ხორცს და ხორცპროდუქტებს დს სხვა მალფუჭებად პროდუქციას ნუ შეიძენენ ისეთ ადგილას,სადაც არ არის დაცული სანიტარულ-ჰიგიენური პირობები. პროდუქტების შეძენისა ყურადღება მიაქციეთ ვადებსა და ეტიკეტებს.

მანანა ერქომაიშვილი,
სურსათის ეროვნული სააგენტოს
გურიის რეგიონული სამმართველოს
უფროსი.

აშშ-ს საელჩოს პროექტში გურულმა ბავშვებმა დაამტკიცეს, რომ კარგი მკითხველები არიან

ალიონი. აშშ-ს საელჩოს პროექტში „საგაზაფხულო გამოწვევა კითხვაში“ ოზურგეთელმა და ლანჩხუთელმა ბავშვებმა დაამტკიცეს, რომ კარგი მკითხველები არიან.

კონკურსში (15 ივნისი – 10 სექტემბერი) მონაწილეობა შეეძლო 5-დან 18 წლის ასაკის ნებისმიერ ბავშვს. ვინც წაიკითხავდა 100 გვერდს ქართულ ან ინგლისურ ენებზე, მიიღებდა ამერიკის ელჩის ხელმოწერილ სერტიფიკატს და მცირე პრიზს. 500 გვერდს ვინც წაიკითხავდა, ის უფრო მაღალი დონის სერთიფიკატს მიიღებდა

(ინგლისურ ენაზე წაკითხვის შემთხვევაში გვერდების რაოდენობა ორმაგდებოდა). ყველაზე მეტი გვერდის წამკითხველები საჩუქრად მიიღებდნენ ტექნიკურ აღჭურვილობას კარაოკეს ჩასატარებლად, უმასპინძლებდნენ ამერიკელ დიპლომატს კარაოკეში მონაწილეობის მისაღებად.

პროექტი წარმატებულად მიმდინარეობდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ბიბლი-ოთეკაში, სადაც 22 დეკემბერს პროექტის მონაწილეებს გადაეცათ შესაბამისი სერთიფიკატები. უამინდობის გამო, ლანჩხუთელი, კერძოდ, ჩოჩხათელი და აკეთელი კონკურსანტები დაჯილდოების ცერემონიალზე ვერ გამოცხადდნენ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ ამ ღონისძიებას, როგორც სხვებს, შესანიშნავად გაართვა თავი.

როგორც დაჯილდოების ცერემონიალზე ითქვა კონკურსში მონაწილეობა 80-ზე მეტმა ბავშვმა მიიღო. საკონკურსო ვადაში წაკითხული გვერდების რაოდენობით რეკორდი დაამყარა აკეთელმა საბა კიკვაძემ – 11 000 გვერდი; 10 095 გვერდი წაიკითხა ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის მოსწავლემ ლაშა სულაქველიძემ.

100-დან 500 გვერდამდე ლიტერატურა წაიკითხა თორმეტმა ბავშვმა, 500-დან 1 000-მდე გვერდი – ოცდაათმა; 1 000-დან 3 000-მდე – ოცდარვამ; 3 000-დან 5 000-მდე – ხუთმა, 5 000-დან 10 000-მდე – სამმა ბავშვმა.

„პროექტში ჩართვის მსურველი ბევრი აღმოჩნდა. არსებული რეგულაციებიდან გამომდინარე, ყველას ერთად მოყვანა ვერ შევძელით, თუმცა, მინდა, სიამოვნებით აღვნიშნო, რომ მონაწილეთა უმრავლესობამ მოიპოვა ოქროს სერთიფიკატი.

9 ჩოჩხათელი და 2 აკეთელი ბავშვიც უნდა ყოფილიყო დღეს აქ ჩვენთან. როგორც ცოტა ხნის წინათ ჩოჩხათელებმა მაცნობეს, გულიანში გზა ჩახერგილა, უკან გაბრუნებულან და სუფსის გზით აპირებდნენ წამოსვლას. ვურჩიე, არ გაერისკათ და ასეთ ამინდში თავი შეკავებინათ.

ვულოცავ პროექტის ყველა მონაწილეს წარმატებულ ზაფხულს. ჩვენ კი განვაგრძობთ მათთან ურთიერთობას“. – თქვა დაჯილდოების ცერემონიალზე ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ლიანა ბაქანიძემ.

კონკურსში მონაწილე ბავშვებს სერთიფიკატები გადასცა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერმა გიორგი ღურჯუმელიძემ.

„რა ვისწავლეთ, რა ვიცით“ – შემაჯამებელი აქტივობა წლის პირველ სემესტრში

ალიონი. ქ. ოზურგეთის №4 საბავშვო ბაღის სასკოლო მზაობის ჯგუფის აღსაზრდელებმა, „პროექტის „რა ვისწავლეთ, რა ვიცით“ ფარგლებში, წარმოაჩინეს თუ რა ისწავლეს პირველი სემესტრის მანძილზე.

მიუხედავად პანდემიისა (ხშირად იხურებოდა ჯგუფი), აღმზრდელმა **ლია ქავთარაძემ** მაინც შეძლო მიეღწია დასახული მინისთვის.

მიმოიხილეს, რაც ისწავლეს წიგნიერებაში, მათემატიკაში. ბავშვებმა იციან, რომ არის სხვადასხვა ტრადიციები, არსებობენ ადამიანები განსხვავებული რიტუალებით, ასევე იციან, რა არის საერთო სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს შორის.

ამ აქტივობამ ბავშვებს განუვითარა შემოქმედებითი უნარები, სენსორული აღქმა.

დაგეგმილმა აქტივობამ ხელი შეუწყო მათემატიკური უნარების განვითარებას, დახვეწა წარმოდგენები რაოდენობრივ შესაბამისობაზე.

გაწონასწორებულმა, კომუნიკაბელურმა, ჰუმანურმა და შემოქმედებითმა აღმზრდელმა ლია ქავთარაძემ, პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ეფექტიანი აქტივობით, შეაჯამა პირველი სემესტრის მუშაობა.

ზოგი რამ სოფიო გურიელის საფლავთან დაკავშირებით

სანამ გურიის სამთავროს უკანასკნელი მმართველის, სოფიო გურიელის საფლავის შესახებ მოგახსენებთ, გვსურს ჩვენი გულისტკივილი გამოვხატოთ ზოგადად წინაპრების სხოვნისადმი დამოკიდებულების შესახებ. გალაქტიონი კითხვას სვამს: „მესაფლავე, შენა მბობ, რომ ქვეყანაზე ვინც კი კვდება, იმ წუთსავე ყველა ჩვენ განსავიწყდება!?“ რა თქმა უნდა გვავიწყდება, და არა მარტო სიკვდილის შემდეგ, არამედ სიცოცხლის ჟამსაც.ლეჩბალნიცაში, შალვა დადიანის სანახავად მისულმა კონსტანტინე გამსახურდიამ და ირაკლი აბაშიძემ სულიერად მძიმე მდგომარეობაში მყოფი გალაქტიონი არც მოიკითხეს.ალბათ ამანც იმოქმედა გალაქტიონისგადაწყვეტილებაზე...საკამათოა ქართველ მეფეთა საფლავები. ასტრახანის მიძინების ტაძრიდან დღემდე ვერ გადმოვასვენეთ ვახტანგVI და თეიმურაზ II. სამაგიეროდ ვამაყობთ, რომ პეტრე პირველი ქართველია და რად გვჭირდება ეს? მან ხომ მოატყუა და აიძულა ვახტანგVI რჩეულ ქართველებთან ერთად რუსეთში გადახვეწილიყო, რამაც ორი საუკუნით შეაფერხა ქართული კულტურის განვითარება. სადაურსა სად წაიყვან? ნიჭით და ძალითგამორჩეული ქართველები რუსეთის სამსახურში ჩადგნენ. რუსეთის ისტორიაში წარმოდგენილ ქართველებს პიოტრ ბაგრატოვის (პეტრე ბაგრატიონი), იგორ ჩილაევის, (იაგორ ჭილაშვილი), ბრატია სანდუნოვების (ძმები ზანდუკელები) სახელებით მოიხსენიებენ. რუსებს პეტრე-პავლესციხე - სიმაგრეში დიდებულად აქვთ მოწყობილი მეფეთა საძვალე. ისინი ყოველდღიურად ყვავილებით ამკობენ რუსეთის იმპერიის შემქმნელ,პეტრე პირველის საფლავს.

რაც შეეხება სოფიო გურიელს, ჩვენ ვიცით, რომ 1828 წელს რუს გენერალ გესთან ცნობილი, ლიხაურის ბრძოლის შემდეგ იგი თანამებრძოლებთან ერთად ქობულეთში გადავიდა. ამის შემდეგ მისი კვალი ქრება.

1919 წლის 1 სექტემბერს გაზეთ „საქართველოში“ დაიბეჭდა სამხედრო ისტორიკოსის აბესაძის წერილი სოფიო გურიელის საფლავის შესახებ, რომელშიც აღნიშნულია, რომ 1829 წლის 7 სექტემბერს ლოგინად ჩავარდნილი სოფიო გურიელი გარდაიცვალა და მისი საფლავი შენახულია გოგნიის ბერძნულ ეკლესიაში. მკვლევარი მამა გიორგი მაცურიშვილის აზრით ,გაზეთში შეცდომითაა დაბეჭდილი გოგნია და სინამდვილეში ეს არის გონიოში არსებული ბერძნული ეკლესია. არქეოლოგები მიანიშნებენ გონიოში არსებულ ბერძნულ ეკლესიაზე და მიაჩნიათ, რომ სამომავლოდ ეს საკითხი შესასწავლია. მართლაც, საშვილიშვილო საქმე გაკეთდება ,თუ ეს ვერსია დამტკიცდება და მის საფლავზე ჯვარი აღიმართება, მით უფრო, რომ ტრაპიზონში მინიშნებული საფლავი დაკარგულია.

მერაბ მეგრელიშვილი

ნინო ჯაველიძე

ენერგო პრო ჯორჯიას ოზურგეთის სერვისცენტრი შობა ახალი წლის შემობრძანებას გილოცავთ. გისურვებთ ჯანმრთელობას, სიუხვეს, სიხარულსა და ბედნიერებას!

„ამ სახლის გაცოცხლებით, ასე მგონია, ბებიას და მამას ვესაუბრები“



თავს არ ანებივრებს რეკლამით, თუმცა საუბარში მაინც წამოვიყვანეთ და დავითანხმეთ ინტერვიუზე.

აჭარა-გურიის მთების მხედრები ზემოდან დაჰყურებს ეზოს, მწვერვალთა თავზე თოვლი ირეკლება ოქროსფრად.ღრმა ხევში ხმაურობს მდინარე ბახვის წყალი. შუა ეზოს უხდება კოპწია სახლი. ოქროსფრად გადაფენილა ეზოს ბალახი, მხოლოდ სამყურა კეკლუცობს მწვანედ. შემოდგომას ვერ შეუშინებია მინდვრის ყვავილები, თავაღერილები დგანან კვლავ. ეს მთისპირია, თავისი ულამაზესი ხედებითა და სანახებით.

სტუმართან ერთად, ეზოში ნერგებს რგავდა ჩვენი მასპინძელი. ამ ეზოს მეპატრონე. თითოეულ ნერგს იმთავითვე ეტყობა მზრუნველი ხელი. მცირე შესვენება. ცოტა ხნით მოვწყვიტეთ საქმეს.

მასპინძელი თქო, ვთქვით. მიხეილ ჩხაიძე, უკვე ჩვენი გაზეთის სტუმარია.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კვალიფიკაციით უროლოგი. ქართულ გერმანული მრავალ პროფილური ჰოსპიტლის გენერალური დირექტორის მოადგილე, ჯოენის სამედიცინო ცენტრის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. სამუშაო პრაქტიკა საქართველოსა თუ უცხოეთში, დანარჩენ ცენზსა და რეგალიებს აღარ ჩამოვთვლით. მთავარია საუკეთესო გამოცდილებას, გამოსაცდელი ვადით კი არა, მიღწეული შედეგებით აფასებს. უფრო სწორად, კარგი და კეთილი საქმეები აფასებს მას. აქ კი, წარმატებები უდავოა. თბილისში დაიბადა.

— ბავშვობაში ორი პროფესია მომწონდა. იურისტობასა და ექიმობას შორის ვაკეთებდი არჩევანს. ბებია ანა შარაშიძე ჩაჩავას კლინიკაში მუშაობდა მედდად. მედიცინის მუშაკთა ფასი და მნიშვნელობა ადამიანთათვის , სწორედ ბებიას ღვაწლით შემოვიდა ჩემში. 16 წლის ასაკში, სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გავხდი. მას შემდეგ ამ განხრით მოვდივარ.

მამა ინჟინერი იყო. დედულეთში გაიზარდა. მთისპირის სკოლაში სწავლობდა. სწავლის შემდეგ, თბილისში გააგრძელა მუშაობა. დედა პედაგოგია. ჩემი და, ხათუნაც პედაგოგი.უდიდესი ამაგი აქვს ანა ბებიას ჩვენზე. კოლორიტული პიროვნება იყო. სახლი თბილისში, სადაც მე ვცხოვრობ, ბებიას აშენებულია. ბებიას მშობლიურ სოფელ მთისპირს, ბავშვობაში ხშირად ვსტუმრობდით. საკმაო ხანი ვერ მოვახერხეთ ჩამოსვლა. როცა ჩამოვედი და ბებიასეული ეზო-კარი მძიმე მდგომარეობაში დამხვდა, ძალიან დამწყდა გული. გაუვალი ტყე იყო, გადავწყვიტე აქაური, ნაფუძარი აღმედგინა. დედა და და გვერდით დამიდგა. რასაც ხედავთ, ჯერ-ჯერობით ესაა, თუმცა გეგმები ბევრი გვაქვს. ამ სახლის გაცოცხლებით, ასე მგონია ბებიას და მამას ვესაუბრები. მათ ვცემ პატივს, მათთან ურთიერთობები მახსენდება.

როცა თავისუფალ დროს ნახავს, სოფელს სტუმრობს, ეზოს მოვლა-პატრონობითაა დაკავებული. მოსწონს აქ ფუსფუსი. სტუმარიც მოჰყვება ხშირად. ახლაც იქ დაგვხვდა მისი მეგობარი გიორგი მაკარიძე. როცა ვიგებ, მიშა აქ წამოსვლას გეგმავს, მოუთმენლად ველოდები თუ მომიპატიჟებს. სად არ ვყოფილვარ, რამდენი ქვეყანა მინახავს, მაგრამ აქ სულ სხვა პეიზაჟია, აქაური სიწყნარე საუკეთესო თერაპიაა. აქ ფიზიკურადაც ვისვენებ, მიუხედავად იმისა ბარს და ნიჩაბს ხელიდან არ მაშვებინებს, ამბობს ხუმრობით.

— აქ სულიერად ვმშვიდდები. საოცარი სილამაზეა ირგვლივ. როცა სახლს ვაშენებდი, მშენებლებს ვუთხარი, სახლი ისე დამიდგით, მისაღები ოთახის ფანჯრიდან ასკანის (აქაურები თამარ მეფის ციხედ მოხსენიებს) ციხე ჩანდეს, საძინე-ბლის ფანჯრიდან - ზღვა.

მართლაც ასეა. უძველესი ისტორია გადმოჰყურებს ციხის ქონგურებიდან სოფელს. თვალსაწიერი მთისა და ზღვის ხედებითაა გაჯერებული. მიშა დიდი გულშემატკივარია ულამაზესი, მაგრამ რთულ რელიეფიანი სოფლისა. განსაკუთრებით ეიმედება აქაურობის მომავალი. მიუხედავად დიდი პასუხისმგებლობისა და დატვირთვისა, რასაც პროფესია მოითხოვს, აქაურობის მოფერებასაც სიამოვნებით ახერხებს.

— ამ სოფელში თუ არ მოდიხარ, შემთხვევით ვერ მოხვდები. უნდა მოხვიდე. ულამაზესია აქაურობა. რომ მოვდივარ, დრო მაქვს დათვლილი, მინდა ბევრი რამ მოვასწრო. ამიტომ ვერ ვახერხებ გასვლას და დათვალიერებას. თუმცა ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ სოფელს დიდი პერსპექტივა აქვს. აქ, მთაში ხარ და ნახევარ საათში მოხვდები ზღვაზე. კარგი კურორტი შეიძლება გაკეთდეს, ოღონდ შესაბამისი ინფრასტრუქტურა იქნება საჭირო, მთავარია აქაურებმა მოინდომონ. უდიდესი მნიშვნელობა აქვს საწარმო „ასკანგელ-ალიანსის“ ფუნქციონირებას. ამდენი ადამიანია დასაქმებული. იგი ფაქტიურად სოფლის ხერხემალია. საუკეთესო პირობებია ტურიზმის განვითარებისთვისაც. შესაძლებელია ეთნოტურების მოწყობა. ბევრი ქართული კურორტია ცნობილი რუსულ, თუ ევროპულ სამყაროში. აქ, ბევრი რამ თავიდანაა დასაწყები, ისევე, როგ-ორც ჩვენს ქვეყანაში.90-იანმა წლებმა 40 წლით მაინც დაგვწია უკან. მზად არ ვიყავით დამოუკიდებლობისთვის. ინტელექტითაც არ ვიყავით მზად, თუნდაც აქაური თიხის ფასი გვცოდნოდა.უპირობოდ გავასხვისეთ. ყველაფერი დავანგრიეთ და უცხოეთში გავიტანეთ, ამიტომაც არის ყველაფერი ასე ძნელად განსახორციელებელი, თუმცა მიღწევადი.

მშობლიურ ფუძეზე დაბრუნებაში, ახლო ნათესავის, მეზობლად მცხოვრები თენგო შარაშიძის ოჯახის წვლილს გამოჰყოფს ჩვენი რესპონდენტი. თენგოსთან და ლელასთან ადვილად გამოიხატა მეგობრული განწყობა. საოცარი ხალხია. ეს ოჯახი რომ არ ყოფილიყო, შეიძლება ვერც გამებედა ამ საქმესთან შეჭიდება.მათ გამიადვილეს გადაწყვეტილების მიღება.

საკუთარ თავზე ნაკლებად საუბრობს, უფრო ქვეყნისა და სოფლის მომავალზე ერთვება ფიქრი, შესაბამისად, საუბარიც აქეთკენ მოჰყავს. ახლობლებისგან ვიგებთ, რომ უყვარს მოგზაურობა, სიმღერა, მღერის კიდეც. რაც შეეხება პროფესიულ დამოკიდებულებას ადამიანთა მიმართ, აქაც სხვათა შეფასებებია, სიყვარულით და მადლიერებით გამოხატული. ვისაც ურთიერთობა ჰქონია მიშა ექიმთან, არ შეიძლება მასზე, როგორც ყურადრებიან, გულისხმიერ ექიმზე.

რა შეგვიძლია ვუსურვოთ ჩვენს მასპინძელსა და რესპონდენტს წარმატებების მეტი, რადგან, თითოეული ადამიანის გადარჩენილი სიცოცხლე, თითოეული გაცოცხლებული ნაფუძარი, ეს ხომ ჩვენი ქვეყნის მომავლის ნაწილია.აქ არ იზომება დიდი და პატარა საქმე. ამ ნაწილს, უბრალოდ სიკეთე ჰქვია.

ფოლკლორი

ამირან ბაბილოძე

ანსამბლ „შვიდკაცას“ პირველი თაობის, სიკვდილამდე უცვლელი წევრის — **ამირან ბაბილოძის** შესახებ ძალიან ბევრი რამის თქმა შეიძლება, წიგნიც შეიძლება დაიწეროს ამ შესანიშნავ პიროვნებაზე. იგი არაჩვეულებრივი მომღერალი იყო და რაც მთავარია არაჩვეულებრივი მოქალაქე: სპეტაკი, ზრდილობიანი, განათლებული და მუდამ მოწესრიგებული, კაი გურული იყო ბატონი ამირანი.

ამირან ბაბილოძე დაიბადა 1930 წლის 15 მარტს, ოზურგეთის რაიონის სოფელ თხინვალში. სიმღერის ნიჭი ბავშვობიდანვე დაეტყო და შემდეგ კი მამამ—გიორგიმ გაულრმავა ცოდნა ნიჭიერ შვილს. სწორედ ამის შედეგად გახდა ბატ-ონი ამირანი ლეგენდარული ანსამბლ „შვიდკაცას“უცვლელი სოლისტი, რომელმაც სხვებთან ერთად მიიტანა მაყურებლამდე ანსამბლის დიდება და უკვდავება. იგი ანსამბლ „შვიდკაცას“ ადმინისტრატორი იყო და შეიძლება ითქვას, მკაცრიც, მაგრამ გაწონასწორებული —არა ზედმეტი. ანსამბლის უცხოეთში საგასტროლოდ გამგზავრებისას ყოველგვარ საბუთებს ამირანი აწესრიგებდა. იყო რუსული ენის კარგი მცოდნე.

ამირანმა დაამთავრა მერიის საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა მოსკოვის უმაღლეს საარიცხვო სკოლაში უფროსი ბუღალტრის კვალიფიკაციით, ხოლო შემდეგ დაამთავრა მოსკოვის ეკონომიკური ინსტიტუტი—რევიზორ-ბუღალტრის სპეციალობით.

ამირან ბაბილოძე 1950 წლიდან 1957 წლამდე მღეროდა რაიონულ კულტურის სახლთან არსებულ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში, რომელსაც ვლადიმერ ერქომაიშვილი ხელმძღვანელობდა, ხოლო 1957 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე (2004 წ.) იყო ანსამბლ „შვიდკაცას“ უცვლელი წევრი. იგი ხელმძღვანელობდა მშობლიური სოფლის — თხინვალის მომღერალთა გუნდს.

მიღებული ჰქონდა მრავალი ჯილდო. იყო საკავშირო და მსოფლიო ფესტივალების ლაურეატი.

ამირანი ჭეშმარიტი ხელოვანი იყო, რაშიც მას დიდი დახმარება გაუწია მამის —გიორგის ცოდნამ და გამოცდილებამ. ის იყო ღირსეული წარმომადგენელი თავისი გვარის — ღირსეული შთამომავლებისა, რომლებიც განთქმულნი იყვნენ გურიაში. რა თქმა უნდა,ამას დაემატა ისიც,რომ ამირანი გახდა ანსამბლ „შვიდკაცას“ღირსეული წე-ვრი და ბატონ მიხეილ შავიშვილის სკოლა გავლილმა მომღერალმა დაიმკვი-დრა ღირსეული ადგილი გურულ ხალხურ შემოქმედებაში.

მე, როგორც მისი უმცროსი მეგობარი დიდად ვაფასებ ამირანის ღვაწლს ჩვენს კოლექტივში და საერთოდ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მისი გარდაცვალება დიდად დააკლდა ანსამბლ „შვიდკაცას“და საერთ-ოდ ხალხურ შემოქმედებას.

ვიმედოვნებ,რომ გურიაში კიდევ გაიზრდებიან ისეთი სპეტაკი, განათლებული, ნიჭიერი და მოწესრიგებული ხელოვანი ადამიანები, როგორიც ამირან ბაბილოზე იყო.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ამ ღირსეული ხელოვანის სპეტაკი სული.

ტრისტან სიხარულიძე,
ხელოვნების ქურუმი.

ოზურგეთის ქუჩებისა და უბნების ისტორიები

სპირტელების უბანი

ძველი ოზურგეთის უბნებს შორის სპირტელების უბანი ყველაზე ახალგაზრდა იყო. ოზურგეთის უბნების სახელდების გაცოცხლება ეკუთვნის ქალაქ ოზურგეთის ყოფილ ვიცე მერს, აწ განსვენებულ თენგიზ კუნჭულიას თავის წიგნში „ ქალაქი და ტრადიციები. „ ამ წიგნში უბნების ჩამონათვალია:“ფეხბურთის გუნდები ჰყავდათ არა მარტო მსხვილ საწარმოებსა და დაწესებულებებს არ-ამედ ყველა უბანსა და ქუჩასაც. შემორჩენილია ცნობები ამავე უბანში თხის ქარხნის საფეხბურთო გუნდის შესახებ, რომელსაც „ღენჭოპოს გუნდს“ ეძახდნენ. სპირტელთა უბანი ზვანს ეკიბრებოდა, ლაშე - ექადიას, მოიდანახე-ბასრას. ბატონმა თენგიზმა გააკეთა უბნების მიმანიშნებელი ფირნიშები, მაგრამ წლების განმავლობაში ეს დაიკარგა. სურვილი გამიჩნდა, შემეგროვებინა მასალები ამ უბნების შესახებ . შეძლებისდაგვარად ეს მოვახერხე კიდეც. სპირტელების უბნის შესახებ მწირი ინფორმაციები იყო. ამ საქმეში ორი მეგობარი ქალბატონი დამეხმარა. პირველი გახლავთ ქალბატონი ნანა ღლონტი ცნობილი ექიმების ტიტე ღლონტის ქალიშვილი და რატი ღლონტის დ. ამჟამად გახლავთ 87 წლის, შესაშური მეხსიერება აქვს, ცხოვრობს თბილისში. როცა დავურეკეთ, უბნის მდებარეობაც მითხრა, და თან ლექსიც დაურთო“:

სპრტელებო, გაიღვიძეთ,
რა დროს ახლა ძილიაო?
„ბასანოშკას“ ქუსლი მოძვრა
შეკეთება სჭირიაო.

ეს ლექსი უკავშირდება ამ უბანში მცხოვრებ ოზურგეთში ცნობილ მეწაღეს სიმონ ზენაიშვილს. ის იმდენად კარგი ხელოსანი იყო, რომ ხალხმა მას ლექსი გამოუთქვა. როგორც მისმა შვილიშვილმა ირინა ზენაიშვილმა მითხრა, მას ჰქონია საკერავი მანქანა „ზინგერი“ .ფეხსაცმელებსაც კერავდა თურმე. შემდეგ, გაჭირვების წლებში გაუყიდიათ.. სიმონის გარდაცვალების შემდეგ ეს ხელობა მამიდან შვილზე გადასულა გასული საუკუნის 70- იან წლებში. მისი შთამომავლები ამჟამად ცხოვრობენ ოზურგეთში, აკაკის ქუჩაზე. მამა-პაპისეულ სახლში.

ახლა თვით უბნის შესახებ: სახელწოდება უბანს დაექვა იმის გამო, რომ ძველათ აქ ყოფილა სპირტის სახდელი ქარხანა, დაახლოებით ყოფილი ლუდის ბარის მიმდებარე ტერიტორიაზე.

სპირტელების უბანი ესაზღვრებოდა ზვანის უბანს, მოიცავდა შემდეგ ქუჩებს: აკაკის, ჩანჩიბაძის და მისი ყოფილ შესახვევს, ახლანდელ მეგობრობის ქუჩას, თედო სახოკიას (ყოფილი ილია ჭავჭავაძის) ქუჩას.

საინტერესო მოგონება აქვს მეორე ქალბატონს გუგული გოგუას, 87 წლის, მცხოვრები ოზურგეთში, ჟორჟოლიანის ქუჩაზე. „მე თვითონ სპირტლების უბნიდან ვარ, ვცხოვრობდი ჩანჩიბაძის ქუჩის შესახვევში. აქ ცხოვრობდა ორი მეგობარი დიმიტრი ცხოიძე და შოთა გოგუა. შემდეგ, ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილებით, შესახვევი გაიჭრა და ქუჩა გაკეთდა,რომელსაც ამ ორი მეგობრის საპატივცემულოდ მეგობრობის ქუჩა ეწოდა.

ძალიან კარგი იქნება თუ აღადგენენ ძველი უბნების სახელწოდებებს და შესაბამის ფირნიშებსაც გააკეთებენ.

მანანა ლომაძე,
ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების ფონდების მთავარი მცველი.

2021 წლის საუკეთესო სპორტსმენებად ლაშა ტალახაძე და ლაშა ბექაური დასახელდნენ

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ორგანიზებით, წლის საუკეთესო სპორტსმენების დაჯილდოების ცერემონიალი ჩატარდა. აღსანიშნავია, რომ "2021 წლის საუკეთესო სპორტსმენის" ნომინაციაში წელს ორი გამარჯვებული გამოვლინდა - ძალოსანი **ლაშა ტალახაძე** და ძიუდოისტი **ლაშა ბექაური.**

დანარჩენი ნომინაციები შემდეგნაირად განაწილდა: "2021 წლის აღმოჩენა - ოლიმპიური იმედი ქალებში" - **მარიამ ქერდიკაშვილი,** კანოე.

„საუკეთესო სპორტსმენი ზამთრის სახეობებში" - მოციგურავე **მორის ყვითელაშვილი.**

„2021 წლის აღმოჩენა - ოლიმპიური იმედი" ვაჟებში" - მოჭიდავე **ლერი აბულაძე.**

„2021 წლის საუკეთესო ქალი სპორტსმენი" - ძიუდოისტი **ეთერ ლიპარტელიანი.**

„ალთა სპორტში დასაქმებული საუკეთესო მწვრთნელი" - **ლალი დოლიძე,** მხატვრული ტანვარჯიში.

„საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენი სპორტის სათამაშო სახეობებში" - წყალბურთელი **გიორგი მაგრაქველიძე.**

„ტოკიოს ზაფხულის ოლიმპიური თამაშების პროფესიონალური გაშუქებისთვის"- ჟურნალისტი **ლაშა გოდუაძე.**

„2021 წლის საუკეთესო საუკეთესო მწვრთნელი" - ძიუდოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი, **ლაშა გუჯეჯიანი.**

„2021 წლის საუკეთესო სპორტული"ფედერაცია" - **საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაცია.**



„2021 წლის სეოკ-ის საუკეთესო რეგიონალური ორგანიზაცია" - **სეოკ-ის იმერეთის რეგიონალური ორგანიზაცია.**

„საქართველოს ოლიმპიური გუნდის მაღალი დონის სამედიცინო უზრუნველყოფისთვის" - საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაცია, **ზურაბ კასაბრიშვილი.**„სეოკ-ის პარტნიორობისთვის" - კომპანია **„თელიანი ველი".** „ოლიმპიური მოძრაობის მედიის„მხარდაჭერისთვის"**"- „საქართველოს პირველი არხი"**" „ოლიმპიურ მოძრაობაში" შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის" - კომპანია **„ავერსის"** დამფუძნებელი, **პაატა კურტანიძე.** „ქართული სპორტის მხარდაჭერისთვის" - „**საქართველოს ბანკი**" და ბანკის გენერალური დირექტორი, **არჩილ გაჩჩილაძე.** „ოლიმპიურ მოძრაობაში მოპოვებული უნიკალური მიღწევებისთვის" - **ნინო სალუქვაძე.**

ამასთან, დაბადების საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით სეოკ-ის სიგელებით და მედლებით დაჯილდოვდნენ 2021 წლის იუბილარი სპორტული მოღვაწეები და ვეტერანი სპორტსმენები - **ნონა გაფრინდაშვილი, არჩილ გოგელია, ჯემალ ძაგანია, ომარ გოგიაშვილი, გურამ საღარაძე, ნოდარ ხოხაშვილი და ედიშერ მაჩაიძე.**

თანაგრძნობა

86 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს სახალხო არტისტი,ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რუსთაველის სახელობის და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ღირსებისა და პრეზიდენტის ბრწყინვალების ორდენების კავალერი, ხელოვნების ქურუმი, ვარსკვლავოსანი,ღვაწლმოსილი ლოტბარი, ანსამბლ „ერისიონის" ხელმძღვანელი, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, თბილისის, ოზურგეთის, სოფელ შემოქმედის საპატიო მოქალაქე

ჯემალ ჭკუასელი.

გაზეთ „ალიონის" რედაქცია უსამძიმრებს ჯემალ ჭკუასელის ოჯახს, ანსამბლ „ერისიონს" და სრულიად საქართველოს.

ნინელი კალანდაძე, ნუგზარ ასათიანი, თემურ მარშანიშვილი, გულსუნდა მახარაძე, ნელი ლაგაზაშვილი, შოთა ცხომელიძე თანაუგრძნობენ კოლეგასა და მეგობარს ნინო სალუქვაძეს, მამის **იური სალუქვაძის** გარდაცვალების გამო.

გაზეთი „ალიონი" იუწყება **ია სურგულაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

გაზეთი „ალიონი" იუწყება **ბახვა მახარაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

სკანვორდი



პასუხები:

ბეჩქოვანი: ზეყოფილ ბეჩქოვანი — ბეჩქოვანი ყვავილი — ნასვლიდან: ბოლო ნასვლიდან — ბოლო ასობგერა — ჯ: თოხის ზედა ნაწილი — ეკ: ლიპარტელიანი — ეკ: ლალი დოლიძე — ეკ: ეთერ ლიპარტელიანი — ეკ: ... — ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი — ეროვნული ფედერაცია — ეროვნული ფედერაცია — ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი — ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი — ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

საქართველო 1905-1907 წლებში

აბსოლუტური მონარქიიდან კონსტიტუციური მონარქიისაკენ (პარლამენტარიზმის დასაწყისი რუსეთში – სახელმწიფო სათათბირო)

ქართველები მეორე სახელმწიფო სათათბიროში



მეორე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები საქართველოში ძალზე მწვავედ მიმდინარეობდა. ამჯერად რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბოლშევიკურმა ფრაქციამ არჩევნებში მონაწილეობის მიღება გადაწყვიტა და ყოველ ღონეს ხმარობდა თავისი კანდიდატების გასაყვანად. მწვავე საარჩევნო კამპანია მენშევიკების გამარჯვებით დასრულდა. სათათბიროში აირჩიეს:

1. **ირაკლი წერეთელი** (რუსეთის სო-ციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, მენშევიკი);
2. **არჩილ ჯაფარიძე** (რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, მენშევიკი);
3. **სევერიან ჯუღელი** (რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, მენშევიკი);
4. **ნიკოლოზ კაციაშვილი** (რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, მენშევიკი);
5. **ბიკენტი (ჭოლა) ლომთათიძე** (რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, მენშევიკი);
6. **გერასიმე მახარაძე** (რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, მენშევიკი);
7. არშაკ ზურაბოვი (რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, მენშევიკი);

საქართველოდან არჩეული დეპუტატები, გარდა ჭოლა ლომთათიძისა, პეტერბურგში 1907 წლის 11 თებერვალს გაემგზავრნენ. ეს უკანასკნელი იმპერიის დედაქალაქში ცოტა მოგვიანებით ჩავიდა.

მეორე სახელმწიფო სათათბიროში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან, როგორც მენშევიკური, ისე ბოლშევიკური ფრაქციიდან არჩეული დეპუტატები ერთ ფრაქციად გაერთიანდნენ და ფრაქციის თავმჯდომარედ მენშევიკი **ირაკლი (კაკი) წერეთელი** აირჩიეს. სოციალ-დემოკრატებისა და სხვა მემარცხენე ძალების წყალობით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეორე სახელმწიფო სათათბირო პირველზე უფრო შეურიგებელი და კონფრონტაციული აღმოჩნდა.

სათათბიროს მუშაობის დაწყებიდან მალე დეპუტატების წინაშე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **პიოტრ სტოლიპინი** გამოვიდა, რომელმაც რამდენიმე მნიშვნელოვანი კანონპროექტი წარადგინა. **მთავრობის თავმჯდომარის გამოსვლა სახელმწიფოებრივი აზროვნების ნიმუშს წარმოადგენდა. ეს იყო რუსეთის კრიზისიგან გამოყვანის ნათლად ჩამოყალიბებული რეალური გეგმა.** პიოტრ სტოლიპინმა დეპუტატებს ასე მიმართა: „ყველა ამ კანონპროექტს, რომლებიც მთავრობას შემოაქვს სათათბიროში, საფუძვლად უდევს ერთი საერთო სახელმძღვანელო აზრი. ესაა ბოლო დროს გატარებული რეფორმებიდან გამომდინარე მატერიალური ნორმების შექმნა. მონარქის სურვილისამებრ, ჩვენი გარდაქმნილი სამშობლო უნდა გადაიქცეს სამართლებრივ სახელმწიფოდ“. მთავრობის თავმჯდომარემ ამ პროცესში სათათბიროს ფუნქციის განსაზღვრისას აღნიშნა, რომ ქვეყანა „მხოლოდ მაშინ შეიძლება დამშვიდდეს და აღორძინდეს, როცა უმაღლესი საკანონმდებლო დაწესებულებები მოფიქრებულად, საზრიანად და მტკიცედ გაატარებენ ცხოვრებაში განახლების სათავეში დადებულ პრინციპებს.“ სტოლიპინი პირობას დებდა, რომ რუსეთის იმპერიის ძირითადი კანონი დაცული იქნებოდა.

პიოტრ სტოლიპინის გამოსვლამ დიდი მოწონება დაიმსახურა, რაც მიუღებელი იყო მემარცხენე-ექსტრემისტი დეპუტატებისათვის. მათი პოზიცია **ირაკლი წერეთელმა** წარმოადგინა, რომლის გამოსვლა შემდეგ დებულებებს შეიცავდა:

1. 1905 წელს რევოლუციასთან ბრძოლაში მთავრობამ ბევრი უკანონობა ჩაიდინა, რაზეც პიოტრ სტოლიპინს ყურადღება არ გაუმახვილებია;
2. რუსეთის მთავრობა ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე კი არ ზრუნავს, არამედ თავისსავე ხალხს ებრძვის;
3. რუსეთის მთავრობა ვერ შეძლებს რეფორმების განხორციელებას, მას არ შეუძლია რუსეთის განახლება.

ირაკლი წერეთლის გამოსვლამ მემარცხენე-ექსტრემისტების პროვოცირება გამოიწვია. ვალში არც მონარქისტულ-პატრიოტული ძალები დარჩენ. ირაკლი წერეთლის სიტყვის ანტისახელმწიფოებრივი შინაარსი ამხილა **ვლადიმირ პურიშკევიჩმა**(1870-1920). პურიშკევიჩი ირაკლი წერეთლის ყველაზე დიდი ოპონენტი იყო სათათბიროში. ამ ორი დეპუტატის პაექრობა ყოველთვის ღირსშესანიშნავ მოვლენას წარმოადგენდა.

1907 წლის 3 აპრილს სათათბიროში გამოსვლისას ირაკლი წერეთელი საქართველოში შექმნილ ვითარებას შეეხო და განაცხადა: „ქუთაისის გუბერნიის სოფ. ლანჩხუთში შეყვანილია ჯარები. შეყვანილია დამსჯელი ექსპედიცია განადგურების მუქარით. ამ სოფლისაგან მოითხოვენ ჯარიმის გადახდას 45.000 მანეთის ოდენობით. ჩემთვის გაუგებარია, თუ რისთვის მოითხოვენ ამ ჯარიმას ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან. უეჭველია, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე აგვიხსნის ამის მიზეზს.“ მართალია, ირაკლი წერეთელმა თქვა, რომ მისთვის გაუგებარი იყო სოფელზე ჯარიმის შეწერის მიზეზი, მაგრამ იმავე სიტყვაში მან კარგად წარმოაჩინა ჯარიმების შემოღების მთელი ანტიხალხური არსი: ჩემთვის გასაგებია, თუ რატომ ადებენ ასეთ სასჯელს ჩვენთან, კავკასიაში, რატომ შეჰყავთ სოფლებში დამსჯელი ექსპედიციები. კავკასიის ადმინისტრაციამ შემოიღო საერთო პასუხისმგებლობის შუა საუკუნეებისდროინდელი სისტემა, ანუ როცა მთელი მოსახლეობა პასუხისმგებელია ცალკეულ პირთა დანაშაულის გამო(...). რა თქმა უნდა, თუ ასეთი ქმედება ჩადენილი არ არის პოლიციის მოხელეთა მიერ, არამედ ადგილობრივი კერძო პირის ნამოქმედარია.“

ირაკლი წერეთელი სათათბიროში გამოსვლისას შეეხო 1906 წელს დასავლეთ საქართველოს დარბევას დამსჯელი ექსპედიციების მიერ, რომელსაც გენერალი **მაქსუდალიხანოვ-ავარსკი** მეთაურობდა. ირაკლი წერეთელმა რუსეთის ხელისუფლება გააკრიტიკა იმისათვის, რომ სოფელ ლანჩხუთში განვითარებული მოვლენების გამო სამჯერ შეიტანა შეკითხვა და პასუხი ვერ მიიღო. აღშფოთებული დეპუტატი აცხადებდა: „კავკასიაში დამსჯელი რაზმების მოქმედება არა მარტო კონკრეტული ადამიანების უფლების ხელყოფაა, არამედ თვით რუსეთის კანონების უარყოფაც. ივი მიმართულია იქითკენ, რათა მღელვარება გამოიწვიონ, და ამით სისხლის დაღვრის ახალი საბაბი მიეცეთ.“

არჩილ ჯაფარიძე ირაკლი წერეთელთან ერთად სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. ორივე ქართველი დეპუტატი სრული თანხმობით მოქმედებდა. 1907 წლის 6 მარტს არჩილ ჯაფარიძემ სათათბიროში გამოსვლისას აღნიშნა: „დღევანდელი მთავრობის მთელი პოლიტიკა სათათბიროს დათხოვნის შემდგომ პერიოდში მისი წინამორბედების პოლიტიკის გაგრძელებას წარმოადგენს. ხელისუფლება განსაკუთრებული გულმოდგინებით იცავს მსხვილი მიწათმფლობელებისა და ბიუროკრატიის ინტერესებს. ამ მიზნის მიღწევის გზაზე კი მთავრობა კანონების დარღვევის არავითარ ფაქტს არ ერიდება“.

ძალზე რადიკალური იყო სახელმწიფო სათათბიროში **სევერიან ჯუღელისა** და **ბიკენტი(ჭოლა)ლომთათიძის** გამოსვლები. 1907 წლის 7 მარტს, როდესაც სათათბიროში მოშიმშილეთა დახმარების აღმოჩენის საკითხი იხილებოდა, თავის გამოსვლაში ჭოლა ლომთათიძემ განაცხადა: „აქ გაისმის საყვედური იმის თაობაზე, რომ ჩვენ აქ თითქოს რუსული რევოლუციის ფილიალური განყოფილება შევქმენით. რუსული რევოლუცია ცოდვილია იმაში, რომ მას სურს პური მისცეს ხალხს. აი, როგორც ჩანს, ეს არის რუსული რევოლუციის საშინელი ცოდვა. თუ ეს ასეა, თუ რუსულ რევოლუციას ძალა შესწევს, დამშეულები დააპუროს, თუ მას სურს მიწა მისცეს გლეხობას, ხოლო მუშებს მათი შრომის საზღაური, მაშინ ეს რევოლუცია არც ისე დასაცინი ყოფილა, როგორც ამას მიიჩნევენ.“

მეორე სახელმწიფო სათათბიროს უკანასკნელი სხდომა 1907 წლის 2 ივნისს გაიმართა. 3 ივნისს ნიკოლაი II-მ სათათბირო დაითხოვა. იმავე დღესვე დააპატიმრეს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრთა უმრავლესობა, მხოლოდ რამდენიმე დეპუტატმა (მათ შორის სევერიან ჯუღელმა და არშაკ ზურაბოვმა) მოასწრეს მიმალვა). დაიწყო დაპატიმრებულთა საქმის ძიება, სასამართლო პროცესი კი 1907 წლის 22 ნოემბერს დაიწყო. 1 დეკემბერს გამოტანილი იქნა განაჩენი: **ირაკლი წერეთელს** მიესაჯა 6 წლით კატორღა და გაიგზავნა ციმბირში, ცენტრალურ საკატორღო ციხეში (ირკუტსკის გუბერნია), შემდეგ ჩაასახლეს ქალაქ ბალაგანსკში (ირკუტსკის გუბერნია). **არჩილ ჯაფარიძეს** მიესაჯა 5 წლით კატორღა, გაიგზავნა ციმბირში, მაგრამ გადასახლების ადგილამდე არ ჩაუღწევია, გზაში გარდაიცვალა. **ბიკენტი (ჭოლა) ლომთათიძეს** მიესაჯა 5 წლით კატორღა, რაც შემდეგ 7 წლით პატიმრობით შეეცვალა, იმყოფებოდა ქალაქ ასტრახანის ციხეში, საიდანაც გადაიყვანეს ქალაქ სარატოვის ციხეში, გარდაიცვალა პატიმრობაში.

აგრარული რეფორმის მომზადება

ბატონყმობის გაუქმების (1861 წ.) შემდეგ ახალი აგრარული რეფორმის გატარების აუცილებლობის შესახებ მსჯელობა რუსეთის იმპერიის პოლიტიკურ ელიტაში ჯერ კიდევ XIX საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო, თუმცა რეფორმის მომზადებისათვის პრაქტიკული ნაბიჯები მხოლოდ XX საუკუნის დამდეგს გადაიდგა. 1898 წელს **სერგეი ვიტტემ** ოფიციალურ მოხსენებით ბარათში აგრარული რეფორმის გატარების უმთავრეს მიზეზად გლეხობის დაბალი გადახდისუნარიანობა დაასახელა. მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ რუსეთის გლეხობისაგან სახელმწიფო ხაზინაში შესული გადასახადი ოთხჯერ ნაკლები იყო, ვიდრე საფრანგეთის გლეხობისა (სერგეი ვიტტეს შედარება მოჰყავდა რუსეთსა და საფრანგეთში ერთი გლეხის მიერ გაღებული გადასახადის მიხედვით). მოხსენებაში ისიც იყო აღნიშნული, რომ ამის მიზეზი ფრანგ გლეხთან შედარებით რუსი გლეხის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა იყო. თუ გლეხის მატერიალური მდგომარეობა არ გაუმჯობესდებოდა, ცხადია, სახელმწიფო ხაზინაში გადასახადიც ვერ შევიდოდა. ვიტტე წინადადებას იძლეოდა შეექმნათ „განსაკუთრებული თათბირი“, რომელიც დასახავდა ღონისძიებებს გლეხობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. 1901 წელს რუსეთის ბევრ გუბერნიაში მოუსავლიანობა იყო, რასაც შიმშილი მოჰყვა. იმპერატორი ნიკოლაი II დარწმუნდა, რომ აგრარული რეფორმის გადადება აღარ შეიძლებოდა.

1902 წლის იანვარში იმპერატორის ბრძანებით, ფინანსთა მინისტრ სერგეი ვიტტეს თავმჯდომარეობით შეიქმნა „განსაკუთრებული თათბირი“, რომელსაც აგრარული რეფორმის პროექტი უნდა მოემზადებინა. იმპერიის გუბერნიებსა და მაზრებში შეიქმნა განსაკუთრებული თათბირის ანალოგი – საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტები, რომელთაც უნდა მოემზადებინათ კონკრეტული წინადადებები აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებით. იმავდროულად აგრარული რეფორმის პროექტს ამზადებდა კიდევ ორი უწყება, შინაგან საქმეთა და მიწათმოქმედების სამინისტროები. შემუშავებულ პროექტებში წინა პლანზე იყო წამოწეული შემდეგი საკითხები: 1. გლეხობისათვის სასოფლო თემიდან გამოსვლის უფლების მინიჭება და მათთვის მიწის კერძო საკუთრებაში დამტკიცება; 2. ცენტრალური გუბერნიებიდან გლეხობისათვის ციმბირში გადასვლის თავისუფალი უფლების მინიჭება; 3. საგლეხო ბანკის მეშვეობით გლეხობისათვის მიწის მიყიდვის გამარტივება. რეფორმის მზადების პროცესში სარატოვის გუბერნატორმა **პიოტრ სტოლიპინმა** 1904 წელს შედგენილ ანგარიშში ასეთი დასკვნა გააკეთა: **ხელისუფლება უნდა დაეყრდნოს არა მეთემე გლეხს, არამედ –მესაკუთრე გლეხს, რომელიც კერძო საკუთრებაში ფლობს მიწას.** არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მეორე დასკვნაც: **გლეხი, რომელიც მიწის კერძო მესაკუთრეა, მტრად არ გაუხდება მემამულეს, პატივს სცემს მას, როგორც მიწის კერძო მესაკუთრეს.** სტოლიპინის აზრით, ეს სოციალური კონფლიქტის თავიდან აცილების რეალური გზა იყო. სტოლიპინი აუცილებლად მიიჩნევდა გლეხობისათვის სასოფლო თემიდან გასვლის უფლების მინიჭებას.

აგრარული რეფორმა არ შემუშავებულა ერთი ადამიანის შეხედულების მიხედვით, ივი რამდენიმე უწყებაში ერთდროულად მუშავდებოდა საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტებში გამოთქმულ აზრთა გათვალისწინებით. მაშასადამე, რეფორმის პროექტი მთლიანობაში იყო ადამიანთა დიდი ჯგუფის მიერ შემუშავებული მასშტაბური დოკუმენტი. რეფორმის პროექტი 1904 წელს უკვე დასრულებული იყო და, ამდენად, მცდარია ის მოსაზრება, რომ თითქოს ხელისუფლება რევოლუციამ აიძულა აგრარული რეფორმა გაეტარებინა. სხვა საკითხია ის, რომ აგრარული რეფორმა დაჩქარდა და მისი ცხოვრებაში გატარება დაკავშირებულია **პიოტრ სტოლიპინის** სახელთან, რომელიც 1906 წლის აპრილში რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრად, ხოლო იმავე წლის ივლისში რუსეთის იმპერიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა.

1906 წლის 25 აგვისტოს პიოტრ სტოლიპინმა გამოაქვეყნა იმპერიაში გასატარებელი რეფორმების ვრცელი პროგრამა:

1. რუსეთის მოქალაქეთა სრული თანასწორობა და პიროვნების ხელშეუხებლობა;

2. გლეხობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;

3. მუშათა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;

4. ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა;

5. ადგილობრივი (სათემო) სასამართლოს რეფორმა;

6. საშუალო და უმაღლესი სკოლის სისტემის რეფორმა;

7. საგადასახადო სისტემის რეფორმა;

8. საყოველთაო დაწყებითი განათლების შემოღება.

(გაგრძელება იქნება)

ვახტანგ გურული
საქართველოს ახალი ისტორია, (1801-1918, გვ. 382-384)

გილოცავთ დამდეგ 2022 წელს გისურვებთ უპირველესად ჯანმრთელობას, მშვიდობას, სიხარულს, სიკეთეს და ბედნიერებას. პატივისცემით,

ლავრენტი ბიგვავა
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გილოცავთ ახალ 2021 წელს! ჯანმრთელობის, სიკეთის, ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს იგი თითოეული თქვენი ოჯახისათვის. შვილთა სიმრავლე, ბედნიერება დაგბედებოდეთ

ტარიელ (გელა) აროშიძე
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

გილოცავთ შობა-ახალ წელს! გისურვებთ, რომ 2022 წელი ყოფილიყოს ხვავით, ბარაქით, სიკეთით, სიხარულით, სიყვარულით, ბედნიერებით დატვირთული თითოეული თქვენთაგანის და მთლიანად საქართველოსათვის!

მარიკა ჩხიკვიშვილი,
საკრებულოს „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ფრაქციის თავმჯდომარე

გილოცავთ დამდეგ შობასა და ახალ წელს, გისურვებთ შვილთა სიმრავლეს, ჯანმრთელ მომავალს, სიკეთეს, ბედნიერებას, წარმატებებს!

მაკა ჭყონია
ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორი

გილოცავთ დამდეგ 2022 წელს გისურვებთ უპირველესად ჯანმრთელობას, მშვიდობას, სიხარულს, სიკეთეს და ბედნიერებას. პატივისცემით,

პაატა კიღურაძე
საკრებულოს სამადატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

ოზურგეთის თოჯინების თეატრი თქვენი შვილების საახალწლო განწყობის შესაქმნელად გთავაზობთ თოჯინურ სპექტაკლებს.

საახალწლო შოუ-პროგრამა 26 დეკემბერს დაიწყო და 14 იანვრის ჩათვლით გაგრძელდება.

28 დეკემბერი–პრემიერა –13 სთ;
29 დეკემბერი–ასოციაცია „გურია“–16 სთ;
30 დეკემბერი –13 სთ;
3 იანვარი –12 სთ;
4 იანვარი –კულტურის სახლი 16 სთ;
5 იანვარი–13 სთ;

სუპერმაკეტი „მოდერნი“ გილოცავთ დამდეგ ახალ წელს!
საუკეთესო ფასები! საუკეთესო მომსახურება!

მრავალ ბედნიერ ახალ წელს! შპს „ვასაძის პური“

აფთიაქი „სალბი“ გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს“

ს/ს „იმედი“ გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს“

7 დღის ამინდის პროგნოზი

27 დეკემბერი, ორშაბათი	28 დეკემბერი, სამშაბათი	29 დეკემბერი, ოთხშაბათი	30 დეკემბერი, ხუთშაბათი	31 დეკემბერი, პარასკევი	1 იანვარი, შაბათი	2 იანვარი, კვირა
მზე, ღრუბელი +2+9	მზე, ღრუბელი +2+10	მზე, +2+11	მზე, +3+10	მზე, ღრუბელი +3+9	წვიმა +2+8	წვიმა +3+7